ხელშეკრულება №4
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №**CON150000074**)

ქ.თბილისი 30 იანვარი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის " (შემდგომში- შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ მერიკო ცინცაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "დეკორი" (შემდგომში- მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის დიმიტრი კვეკვესკირის სახით"სახელწიფო შესყიდვების შესახებ "საქართველოს კანონის 20² მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 20 მარტის #2 ბრძანებით დამტკიცებული A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების აგრეთვე „2016 წლის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშვალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 დეკემბრის #2585 განკარგულების საფუძველზე. საბეჭდი ქაღალდის 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (№**CON150000074**) (შემდგომში-კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. ხელშერკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე

1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა , აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანი 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხის ფარგლებში ა/4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის (CPV კოდი- 30197630) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

2.2. ხელშეკრულებით გათავლისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საგნის ღირებულება შეადგენს 262(ორასამოცდაორი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადის და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 4. მიღებ-ჩაბარება და ანგარიშწორება

4.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშ-ფაქტურით. შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტირის ხელმოწერაზე უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტში მითითებული პირი.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, უნაღდო ანგარისწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბეჭდი ქაღალდის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან, 2016წლის 20 თებერვლის ჩათვლით ეტაპობრივად ქ.თბილისის ტერიტორიაზე. შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად თვეში ერთხელ , არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში (3 სამუშაო დღე იგულისხმება შეკვეთის მიებიდან მომდევნო 3 სამუშაო დღე) და შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე მხოლოდ და მხოლოდ ქ.თბილისის ტერიტორიაზე. ქ.თბილისის ფარგლებს გარეთ არსებულ სახელმწიფო ორგანიზაციებს რომლებსაც ევალებათ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შეისყიდონ საბეჭდი ქაღალდი საქონლის გატანა შეუძლიათ ქ.თბილისი აკაკი ბელიაშვილის #157 და კახეთის გზატკეცილი 108. ქ.ქუთაისი ორახელაშვილის #14.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხ ისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების პირობების შესრილებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 6.3 პუნქტის "გ" ქვეპუნქტთ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯის ანაზღაურება.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3.მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად,კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესყიდული საქონლის ხარისხის შემოწმებას.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. ინპექტირების მიზნით გამოყენებული საკუთარი ან მოწვეული პერსონალის შრომის ან ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7.4. ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. პირგასამტეხლო

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით დარჩენილი რაოდენობის 5%-ის ოდენობით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევეში.

8.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველ ორგანიზაციას დააკისროს ჩაბარებული საქონლის 0,05% პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეული ფორსმაჟორით.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს,იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ,მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ.წინააღმდეგ შემთხვევაში,შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების,დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით,მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით,რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა,რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. დავები,მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმებით.შეთანხმების [illegible]ღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 12. შეტყობინება

12.1. ხელშეკრულებიდან გამომდინერე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

12.2. ყველა სახის შეტყობინება საქონლის მოთხოვნა(საქონლის შეკვეთა) შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალური წერილის საფუძველძე მისამართზე ქ.თბილისი აკაკი ბელიაშვილის 157 ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე **dekori@dekori.ge**. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი13 გადასახადები და დაბეგვრა

13.1მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების,მოსაკრებლების
და სხვა გადასახადების გადახდაზე,თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისეინებული

13.2კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბეჭდი ქაღალდის მიწოდებისას ანგარიშსწორება [illegible]ციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში

მუხლი14. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი-შემსყიდველთან

მუხლი15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 10 აპრილის ჩათვლით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბეჭდი ქაღალდის მიწოდების ვადა სატენდერო წინადადების მიწოდების ვადას შესაძლებელია აღემატებოდეს 10 სამუშაო დღით.

დირექტორის მ/შ	დირექტორი
----------	----------
მერიკო ცინცაძე	დიმიტრი კვეკვესკირი

დანართი N1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტია უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი:

№	დასახელება და ტექნიკური მაჩვენებლები	განზომილებ ი ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი-NAVIGATOR universal ; მწარმოებელი ქვეყანა– პორტუგალია; გრამაჟი–80(გრ/მ2) სისქე(UM)-110; სითეთრე (CIE)169; გაუმჭვირვალობა– 95%; სიკაშკაშე –112%; ზედაპირის ხაოიანობა (ML/MIN)120; შეკვრაში ფურცლების რაოდენობა –500;	შეკვრა (500 ფურცლიანი)	40	6,55	262
სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით					262 (ორასსამოცდაორ ი) ლარს.

შემსყიდველი:

სსიპ კირნათის სკოლა

ს/კ 248386615

მის: . ხელვაჩაური,სოფ.კირნათი

სს „ლიბერთი ბანკი „

ბ.კ LBRTGE22

ა.ნ GE47LB0121125224993000

ტელ: 577304265

მიმწოდებელი :

შპს „დეკორი"

ს/კ 203868635

ქ.თბილისი. ბელიაშვილის # 157

პროკრედიტ ბანკი

ა.ნ GE66PC0133600100062479

MIBGGE22

ტელ:2240505, 599100474

დირექტორის მ/შ

მერიკო ცინცაძე

დირექტორი

დიმიტრი ავალიანი

მიღება–ჩაბარების აქტი

ქ. ქუთაისი 3 თებერვალი 2016წ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ კირნათის საჯარო სკოლის ბუღალტერი მურად ჯიხაძის სახით, და მეორეს მხრივ შპს „დეკორი" წარმოდგენილი მისი დირექტორის დიმიტრი კვეკვესკირის სახით (ჩამბარებელი), ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 3 თებერვალს პირველმა მიიღო, ხოლო მეორემ ჩააბარა 2016 წლის 25 იანვარს 2016 წლის N4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი რომლის ჯამური ღირებულებაა 229,5 ლარი.

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი(ლარი)	ჯამი(ლარი)
ქაღალდი A4	40(შეკვრა)	6,55	262

სსიპ კირნათის საჯარო სკოლა

წარმომადგენელი

მურად ჯიხაძე

შპს „დეკორი"

დიმიტრი კვეკვესკირი

დირექტორი

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0219384786

2	03/02/2016

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	13:14:00

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს დეკორი	203868635

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლა	248386615

მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	ქ.ქუთაისი ორახელაშვილის 14

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	ხევლაჩაური სოფ. კირნათი

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საავტომობილო

ტრანსპორტირების სახე

10	LP122PL	X

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი | მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	61006010341 ედნარ ლასტაკანიძე

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	მყიდველი - 0

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	ქაღალდი კოპირებისთვის A4 80გრ (NAVIGATOR)(0532)	000000001889	შეკვრა	40.0000	6.5500	262.0000

13	262 - ორას სამოცდაორი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 08/02/2016, 15:31:49